ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

დადგენილება:**დ-67. 6726114001**

თარიღი:**24/04/2026**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,რ” ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

1. ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი“, გარდა წესის მე-4 და მე-5 მუხლების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ და „თ'' ქვეპუნქტების და მე-3–მე-5 პუნქტების, მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 პუნქტის „ა“, „გ“ და „ვ“–„თ“ ქვეპუნქტების და მე-7 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-5–მე-10 პუნქტების, მე-10 მუხლის მე-4–მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი–მე-4 პუნქტები, მე-5 პუნქტის „ა“ –„კ“ ქვეპუნქტების და მე-6–მე-8 პუნქტების, მე-12–მე-14 მუხლების და მე-15 მუხლის პირველი–მე-7 და მე-9 პუნქტებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის“ მე-4 და მე-5 მუხლები, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ და „თ'' ქვეპუნქტები და მე-3–მე-5 პუნქტები, მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-6 პუნქტის „ა“, „გ“ და „ვ“–„თ“ ქვეპუნქტები და მე-7 პუნქტი, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-5–მე-10 პუნქტები, მე-10 მუხლის მე-4–მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტები, მე-11 მუხლის პირველი–მე-4 პუნქტები, მე-5 პუნქტის „ბ“–„კ“ ქვეპუნქტები და მე-6–მე-8 პუნქტები, მე-12–მე-14 მუხლები და მე-15 მუხლის პირველი–მე-7 და მე-9 პუნქტები ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

3. ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი“-ს მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2028 წლის 1 ივლისიდან.

გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი